სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის

ო ქ მ ი # 4

ქ. ონი 24. 04. 2023 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა კომისიის თავმჯდომარე ვლადიმერ ბერელიძე.

სხდომას 10 წევრიდან ესწრებოდა 8 წევრი: ვლადიმერ ბერელიძე, გიორგი მარკოიშვილი, შუქურა ჯაფარიძე, ნინო ბერუჩაშვილი, ანა ბაქრაძე, სერგო ლობჯანიძე, მადლენა მეტრეველი, როსტომ ლობჯანიძე.

არ ესწრებოდა: ბიჭიკო კერვალიშვილი, თორნიკე მეტრეველი.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1.ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია მიმდინარე წლის სამ თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხს: ვლადიმერ ბერელიძე-კომისიის თავმჯდომარე/

2. ,,ონის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 მარტის #14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხს. ვლადიმერ ბერელიძე-კომისიის თავმჯდომარე/

3. ,,ონის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგების ქსელის მოვლა-შენახვის ცენტრისთვის“ სარგებლობაში (უსასყიდლოდ) , თხოვების ფორმით გადაცემის შესახებ.

/მომხს. ვლადიმერ ბერელიძე-კომისიის თავმჯდომარე/

4. ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ.

/მომხს. ვლადიმერ ბერელიძე-კომისიის თავმჯდომარე/

5. ,,ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 დეკემბრის #15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხს. ვლადიმერ ბერელიძე-კომისიის თავმჯდომარე/

6. ,,ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარესა და საკრებულოზე საწვავის ყოველთვიური ლიმიტების დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის #51 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხს. სერგო ლობჯანიძე-კომისიის თავმჯდომარე/

მოისმინეს: 1.ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია მიმდინარე წლის სამ თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

/მომხსენებელი: ვლადიმერ ბერელიძე-კომისიის თავმჯდომარე/

ვლ. ბერელიძემ სხდომას გააცნო ინფორმაცია საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის მიერ მიმდინარე წლის სამ თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. შენიშვნები არ გამოთქმულა. სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია რეკომენდაციას აძლევს საკრებულოს - საკითხი, .ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ინფორმაცია მიმდინარე წლის სამ თვეში გაწეული მუშაობის შესახებ, განხილული იქნას ბიუროს სხდომაზე.

მოისმინეს: 2. ,,ონის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 მარტის #14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხს. ვლადიმერ ბერელიძე-კომისიის თავმჯდომარე/

ვლ. ბერელიძემ სხდომას გააცნო დადგენილების პროექტი ,,ონის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 მარტის #14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

 კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. შენიშვნები არ გამოთქმულა. სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია რეკომენდაციას აძლევს საკრებულოს წარმოდგენილი საკითხი განხილული იქნას ბიუროს სხდომაზე.

მოისმინეს: 3. ,,ონის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგების ქსელის მოვლა-შენახვის ცენტრისთვის“ სარგებლობაში (უსასყიდლოდ) , თხოვების ფორმით გადაცემის შესახებ.

/მომხს. ვლადიმერ ბერელიძე-კომისიის თავმჯდომარე/

3. ბერელიძემ კომისიის სხდომას წარუდგინა განკარგულების პროექტი ,,ონის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგების ქსელის მოვლა-შენახვის ცენტრისთვის“ სარგებლობაში (უსასყიდლოდ), თხოვების ფორმით გადაცემის შესახებ და აღნიშნა, რომ საჭიროა მიეცეს თანხმობა მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ერთი ერთეული ავტომობილის, ასანიზაციის მანქანის ,,ონის მუნიციპალიტეტის წყალმომარაგების ქსელის მოვლა-შენახვის ცენტრისთვის“ სარგებლობაში (უსასყიდლოდ), თხოვების ფორმით გადაცემის შესახებ.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და მხარი დაუჭირეს წარმოდგენილი განკარგულების პროექტის ბიუროს სხდომის დღის წესრიგში შეტანას.

მოისმინეს: 4. ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ.

/მომხს. ვლადიმერ ბერელიძე-კომისიის თავმჯდომარე/

მომხსენებელმა სხდომას გააცნო განკარგულების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ და განმარტა, რომ საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხაში შეტანილია არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები სოფლებში: შქმერში, შარდომეთსა და ჭალაში მობილური კავშირგაბმულობის ქსელის გაფართოების მიზნით და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ტექნიკა-კომაცუ D65EX15EO.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და მხარი დაუჭირეს წარმოდგენილი განკარგულების პროექტის ბიუროს სხდომის დღის წესრიგში შეტანას.

მოისმინეს: 5. ,,ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 დეკემბრის #15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხს. ვლადიმერ ბერელიძე-კომისიის თავმჯდომარე/

ვლ. ბერელიძემ კომისიის წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი ,,ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 დეკემბრის #15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

კომისიის წევრების მხრიდან შენიშვნები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არ გამოთქმულა. მათ მხარი დაუჭირეს აღნიშნული საკითხის ბიუროს სხდომის დღის წესრიგში შეტანას.

მოისმინეს: 6. ,,ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარესა და საკრებულოზე საწვავის ყოველთვიური ლიმიტების დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის #51 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხს. ვლადიმერ ბერელიძე-კომისიის თავმჯდომარე/

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი ,,ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარესა და საკრებულოზე საწვავის ყოველთვიური ლიმიტების დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის #51 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ და განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტით საკრებულოს თავმჯდომარეს განესაზღვრება 600 ლ. ბენზინი, საკრებულოს ავტომანქანა ნისან-პატრულისთვის-250 ლ. დიზელი.

კომისიის წევრებს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოუთქვამთ და მხარი დაუჭირეს საკითხის ბიუროს სხდომაზე განხილვას.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ვლადიმერ ბერელიძე

კომისიის თავმჯდომარე